საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

N 12/30
25/05/2020

12-30-4-202005251705

დეკანის ბრძანება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „სახელმძღვანელოების კონკურსის“ განხორციელების შესახებ

ვბრძანებ

1. განახლდეს 2020 წლის 21 იანვარს დეკანის 1/30 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსი ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების საგნების სახელმძღვანელოების შესაქმნელად;
2. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 20 000 ლარი;
3. სახელმძღვანელოს შექმნის ანაზღაურების მაქსიმუმი - 5 000 ლარი;
4. სახელმძღვანელოს აუცილებლად უნდა ჰყავდეს სამეცნიერო და ენობრივი რედაქტორი, რომლის ხარჯებს გაიღებს ავტორი;
5. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, რომლებსაც მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში გამოქვეყნებული/შექმნილი აქვთ ერთი სახელმძღვანელო მაინც;
6. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი საგნის სახელმძღვანელო საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში შესაბამის საგანზე დარეგისტრირებული იყო არანაკლებ 70 სტუდენტისა;
7. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში საკონკურსოდ განიხილება სავალდებულო საგნის სახელმძღვანელო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში მოცემულ საგანზე დარეგისტრირებული იყო არანაკლებ 25 სტუდენტისა;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

8. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება დეკანის სახელზე, სახელმძღვანელოს დეტალური ანოტაცია (მინიმუმ 500 სიტყვა) და სავარაუდო სარჩევი.
9. საკონკურსო საბუთები უნდა აიტვირთოს ბმულზე https://www.tsu.ge/ge/faculties/social/books/iv5pzb1oe4ukrny_-/zbhly8sltj3bpsk2b//
10. საკონკურსო პროექტების ბმულზე ატვირთვის ვადა – ა.წ. 1 ივნისამდე;
11. გამარჯვებული პროექტები გამოცხადდეს 5 ივნისს;
12. დასრულებული პროექტების ბმულზე ატვირთვის ვადა – 2021 წლის 1 მარტი. ვადის გადაცილების შემთხვევაში პროექტები არ განიხილება. ბეჭდური სახით დასრულებული პროექტი წარმოდგენილ უნდა იქნეს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში, VI კორპუსი, N406. დასრულებული პროექტები უნდა აიტვირთოს ბმულზე https://www.tsu.ge/ge/faculties/social/books/iv5pzb1oe4ukrny_-/zbhly8sltj3bpsk2b//
13. სახელმძღვანელო გაფორმებული უნდა იყოს APA-ს სტილით;
14. გამარჯვებული პროექტის ანაზღაურება მოხდება სახელმძღვანელოს წარდგენის, რეცენზირების საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცების და თსუ -ს გამომცემლობაში ჩაბარების შემდგომ;
15. სახელმძღვანელო გამოქვეყნდება ელექტრონული ფორმით;
16. საკონკურსო პროექტების შერჩევასა და გამარჯვებული პროექტების რეცენზირებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- თამარ დოლბაია - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი;
- თეონა მატარაძე - კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
- რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- სალომე დუნდუა-ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება;
- მანანა შამილიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
- იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
- გიორგი გოგსაძე - პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;

17. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე;

თამარ დოლბაია

დეკანი
ადმინისტრაცია